№ 287 Опись 1 146

16 стр

287 Опись №1 ед. 146

ბილია, გიორგი ლატრომველია, ვასილ გვეტაძემ, ვანო ურჯუმელაშვილმა, ლადო სულაბერიძემ, გიორგი ქავთარაძემ, ელიზბარ მაისურაძემ.

შემდეგ გაიმართა არჩევნები. არჩეული იქნა სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისიის ახალი ბიურო: ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი ნატრომველი, ვასილ გვეტაძე, ივანე ურჯუმელაშვილი, ლადო სულაბერიძე, ელიზბარ მაისურაძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

ბიურომ საქართველოს მწერალთა კავშირის სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ალექსანდრე გომიაშვილი, მოადგილეებად: ელიზბარ მაისურაძე და ლადო სულაბერიძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი გიორგი ქორქოლიანი.

გაიმართა მწერალთა კავშირის სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის კომისიის ახლადარჩეული ბიუროს პირველი სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავისათვის მზადებას და კომისიის შემდგომი მუშაობის ამოცანებს.

წლისთავს. დღის წესრიგში იდ
გა ორი საკითხი: სამხედრო
პატრიოტული ლიტერატურა მო
ზარდი ახალგაზრდობისათვის დ
ინტერნაციონალური თემა სამ
ხედრო მხატვრულ ლიტერატუ
რაში.

პლენუმს ხელმძღვანელობდა
სსრ კავშირის მწერალთა კავში
რის მდივანი ა. სურკოვი, რომე
ლმაც საინტერესოდ ილაპარაკ
სამხედრო თემაზე შექმნილი ლი
ტერატურის გარშემო, აღნიშნა
ის დიდი როლი, რომელიც აკის
რია სამხედრო თემისადმი მიძღ
ვნილ ლიტერატურას ახალგაზრ
დობის პატრიოტული სულის
კვეთებით აღზრდის საქმეში.

ჩვენც გვაქვს სამხედრო თემა
ზე შექმნილი ლიტერატურა, —
აღნიშნა ბოლოს ა. გომიაშვილ
მა — გვაქვს მხატვრულად მა
ღალ დონეზე დაწერილი რომანე
ბი, პოემები, ლექსები, მოთხრო
ბები, ნარკვევები, წერილები. ა
მხრივ არც ჩვენი მწერლები არი
ან ვალში, მაგრამ, სამწუხაროდ
ეს ნაწარმოებები ზოგჯერ კრიტი
კის ყურადღების გარეშე დგას,
რაც ყოვლად გაუმართლებელია.
უნდა დავაყენოთ საკითხი სამდი
ვნოს წინაშე, რათა მოვიწვიოთ
სპეციალური პლენუმი საქართ-

---

მოქალაქეობრივი მოვალეობის ეს მტკიცე შეგნება ჩანს ლექსში „ფეოდალები“, რომელიც პოეტის უშუალო მასუხია ცხოვრების მიერ წამოჭრილ პრობლემებზე. ამ ნაწარმოებში გივი გეგეჭკორი უზუსტესი დეტალებით წარმოგვისახავს კაიკაცობისა და მამულიშვილობის ნიღაბს ამოფარებული თავგასული მომხვეჭელისა და მესაკუთრის სულიერ ხილატაკეს, გამოხატავს ხაყოველთაო სახალხო ზიზღს მის მიმართ. პოეტი პოულობს შინაგან ძალას ახლადმოვლენილ, უტიფარ „მბრძანებელთან“ დასაპირისპირებლად: ო, ამ სიმშვიდის საზღაური იქნება მკაცრი... კაცი ურცხვი და უტიფარი თავს დავდგომია, ხმა ამოიღე, დამნაშავეს გადაეღობე, არ დაიხიო, არ დაუთმო, ესეც ომია!..

თანამედროვე პოეტი თავის მოქალაქეობრივ იდეალს საზოგადოებრივ აქტივობაში ხედავს. გივი გეგეჭკორი აქაც წინაპართა გზის ერთგულია: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა!...“

□

გივი გეგეჭკორი პასუხისმგებლობას გრძნობს არა მარტო აწმყოს, არამედ წარსულის წინაშე. პოეტისათვის ისტორია არ არის მხოლოდ წარსული, ის, რაც მის არეში და მისგან დამოუკიდებ-

ზე სძინავს ჩემს გაწამებულ სულში ღრმა ძილით...

ისტორიულ თემაზე დაწერილი ლექსები „ოქროს საწმისი“, „დაბრუნება“, „თევდორე“ პოეტური პარადიგმებია საქართველოს წარსულიდან, რომლებიც გვაგრძნობინებენ ეროვნული სულიწიალში დაგროვილ წმინდა მრისხანებას, ეროვნული სულის ძალასა და მარადიულობას ნათელყოფენ.

□

გივი გეგეჭკორის ლექსების საგრძნობი ნაწილი ყოველდღიურობაზეა ორიენტირებული — ლირიკული თემა მიგნებულია იქ, სადაც ზოგჯერ მისი არსებობა იქნებ საეჭვოდ მოეჩვენოთ. პოეტი უარს ამბობს ე. წ. მომგებიან თემებზე, პათეტიკურ ზეაწეულობაზე. მისთვის პოეზიის საგანია ოჯახური ყოფა, ბავშვთან განცდები... ყოფითი დეტალები ნატურალისტური ხასიათით შემოდის ლექსის ქსოვილში: მაინც რა მოხდა, მთელი ქალაქი რომ ამ სულელურ რომანს კითხულობს... მაცივარშია ალბათ კარაქი...

ცნობიერებაში თანმიმდევრობით წამოტივტივებული ფრაზები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელია, „შეჯახებისას“ პოეტურ ნაპერწკალს წარმოქმნიან

## მწერალთა კავშირის სექციებში

# ახალი მონოგრაფია ლეო ქიაჩელზე

მწერალთა კავშირის კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციამ მოაწყო განხილვა აკაკი თოფურიას წიგნისა „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977, რედაქტორი შ. ძიძიგური).

მოხსენება წაიკითხა **გურამ გვერდწითელმა**. მან ილაპარაკა ლეო ქიაჩელის შემოქმედების დიდ როლსა და მნიშვნელობაზე ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში და აღნიშნა, რომ მწერალზე საფუძვლიანი მონოგრაფია დღემდე არ არსებობდა. იმ მკვლევარებმა, ვისაც ეკუთვნით წიგნები და წერილები ლეო ქიაჩელზე, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში, მაგრამ აკაკი თოფურიას ახალი წიგნი უფრო ვრცელიცაა და სრულიც.

ავტორს დიდი შრომა გაუწევია, საგანგებოდ შეუსწავლია არქივები და ფონდები, რისი წყალობითაც ბევრი ახალი მასალისათვის მიუგნია. ამას გარდა, შემოუვლია მწერლის მშობლიური კუთხე და ლეო ქიაჩელის თანამედროვეთა დახმარებით დაუდგენია ბევრი საგულისხმო ბიოგრაფიული ფაქტი.

წიგნში, მწერლის ბიოგრაფია და შემოქმედება ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია განხილული და ამან ბევრად გაზარდა მისი მნიშვნელობაც და მისდამი ჩვენი ინტერესიც.

მომხსენებელმა გამოთქვა შენიშვნებიც, კერძოდ, რომ წიგნში შეიმჩნევა ტრაფარეტული, ცალმხრივი ანალიზი ზოგიერთი ნაწარმოებისა, მაგალითად, „ჰაკი აძბასი“.

**ვალერიან კანდელაკმა** აღნიშნა, რომ ლეო ქიაჩელი მეტი ყურადღებისა და დაფასების ღირსია ჩვენგან. ამდენად, აკ. თოფურიამ საჭირო საქმე გააკეთა. მეგონა კარგად მეცნობა მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას, მაგრამ ეს რომ ასე არ ყოფილა, ამაში განსახილველმა წიგნმა დამარწმუნა, საიდანაც ბევრი რამ ახალი, ჩემთვის უცნობი ამოვიკითხე. წიგნი საინტერესოდ, ბიოგრაფიული რომანივით იკითხებაო.

**რეზო მიშველაძის** აზრით, დღეიდან ამ წიგნს ვერავინ აუვლის გვერდს, ვისაც ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება აინტერესებს. ამდაგვარი მონოგრაფიები უნდა გვქონდეს ყველა გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მწერალზე. დიდ სახელებს დიდი დაფასებაც უნდა, წიგნის ავტორი სიმართლეს ეუბნება მკითხველს, არაფერს ჩქმალავს, აღადგენს იმ დიდ გზას, რაც მწერალმა განვლო. წიგნი საინტერესოდ არის დაწერილი.

**ერემია ჭარელიშვილმა** თქვა, რომ ლეო ქიაჩელი იმხელა ფიგურაა, კიდევ ბევრი უნდა დაიწეროს მასზე. აღნიშნა აკ. თოფურიას დამსახურება მწერლის ბიოგრაფიული მასალის მოძიებაში. ქიაჩელის ფსევდონიმი რომ გაგვიხსნა, მარტო ეს რად ღირსო. მისი ღრმა რწმენით, ქიაჩელი იმხელა რეალისტი მწერალია, არ არის საჭირო მისი ახალგაზრდული მოდერნისტული ცდუნებების გაზვიადება. შეიძლება სხვა შენიშვნებიც გქონდეს, მაგრამ არსებითად კარგი და მოსაწონი წიგნიაო.

**ვანო წულუკიძემ** ილაპარაკა იმაზე, რომ ლეო ქიაჩელი დეტალების დიდი ოსტატია და მკვლევარმა მისი ეს ღირსება კარგად წარმოაჩინა წიგნში.

**ელიზბარ უბილავამ** აღნიშნა მწერლის ბიოგრაფიული მასალების უხვად წარმოჩენა. თანაც ეს მასალა ისე ცოცხლად არის გადმოცემული, წიგნი ბიოგრაფიულ რომანს მოგაგონებთო. მისი აზრით, „გვადი ბიგვას“ და „მთისკაცს“ მეტი ყურადღება უნდა დასთმობოდა წიგნში, საერთოდაც, მწერლის ცხოვრების ბოლო წლები, სასურველია, უფრო ვრცლად ყოფილიყო გაშუქებული.

**შალვა ჩიჩუამ** აღნიშნა წიგნის დადებითი მხარეები და თქვა, მის შეფასებაში ყველანი ერთსულოვანნი ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლეო ქიაჩელზე უკეთესი წიგნები არ უნდა დაიწეროსო.

დასასრულ **აკაკი თოფურიამ** ილაპარაკა, თუ როგორ მუშაობდა წიგნზე. მან განაცხადა, რომ ლეო ქიაჩელის არქივიც კიდევ არის და თავად მასაც გააჩნია გამოუქვეყნებელი მასალები. მადლობა გადაუხადა დამსწრეებს წიგნის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებისა და მეგობრული რჩევისათვის.

„ლიტერატურული საქართველო“, 1978, 10 მარტი